ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №234-2013

18 ---------- ივნისი, 2013 წელი

ერთის მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ქოქრაშვილის სახით („შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ – სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" (მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას №67) მისი გენერალური დირექტორის პაატა ლომაძისა და ფინანსური დირექტორის ლევან ზუროშვილის სახით („მიმწოდებელი"), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი სტუ-ს კუთვნილი ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა 2013 წლის 18 ივნისიდან 2014 წლის 12 ივნისამდე (CPV66514110-ავტოტრანსპორტის დაზღვევა).

- ჰიუნდაი სანტაფე, სახ. ნომრით BVB-057 ღირებულება - 40 918.48 ლარი
- ტოიოტა კამრი, სახ. ნომრით KET-100 ღირებულება - 16 852 ლარი

1.2. დანართი №1 და დანართი №2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 2310.78 + 120 = 2430. 8 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 12 ივნისამდე.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს რ. ჩიქვინიძე.

5.3. მიწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10(ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორსმაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავის გადაწყვეტა

8.1. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 12 ივნისამდე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულებებს პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის: კოსტავას №77

საბანკო რეკვიზიტები:
„თი ბი სი ბანკის" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE47TB0600000003408001
ს.კ. 211349192

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი"
მის: კოსტავას №67
საბანკო რეკვიზიტები:
„თი ბი სი ბანკის" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE13TB1100000005700625
ს.კ 204426674

გენერალური დირექტორი
პაატა ლომაძე

ფინანსური დირექტორი
ლევან ზუროშვილი

დანართი # 1

მანქანის სახელწოდება	სარეგისტრაციო ნომერი	სადაზღვევო ღირებულება	წლიური სადზღვევო ტარიფი "პოლისი ავტოტრონიკისთვის"	მე-3 პირისადმი სამოქალაქო პასუხიმგებლობის დაზღვევის ღირებულება(აგრეგირებული სადაზღვევო თანხაა 5'000 ლარი)	წლიური სადაზღვევო პრემია
ჰიუნდაი სანტაფე,	BVB-057	40 918,48	4,00%	60	1696,7
ტოიოტა კამრი	KET-100	16 852	4,00%	60	734,1
					2430.8